საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

# განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 371

13 06 2017წ.

ქ. თბილისი

**უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების დამტკიცების შესახებ**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამის მენეჯერის 2017 წლის 6 ივნისის №602414 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს" (დანართი №3) პირველი მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის, ცენტრის დირექტორის 2017 წლის 16 მარტის №194 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების დებულების" მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" მე-3 მუხლის „გ" ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ლ" და „ნ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლები დანართების სახით, შემდეგი თანმიმდევრობით:

| დანართის № | უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დასახელება |
|---|---|
| 1 | საზღვაო ნავიგაცია |
| 2 | საზღვაო ელექტრონინჟინერია |
| 3 | საზღვაო ინჟინერია |

002173

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი თამარ ხანიკიძე